

ეთნოლოგია

ბაკალავრიატი

1. ძირითადი ანთროპოლოგიური სკოლები Main anthropological schools

სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის ამ მეცნიერების განვითარების დინამიკას, კვლევის სფეროსა და მეცნიერულ მიდგომებს, ყველაზე მნიშვნელოვან ავტორებსა და თეორიებს ევროპასა და ამერიკაში, რომელთაც განსაკუთრებული როლი ითამაშეს ადამიანს შესწავლაში.

2. ეთნოლოგიური კვლევის მეთოდები Research methods of Ethnology

სასწავლო დისციპლინის მიმდინარეობისას მაგისტრანტები გაეცნობიან ეთნოლოგიური კვლევის აპრობირებულ ემპირიულ და თეორიულ, ინტერდისციპლინარულ და ვიწრო დარგობრივ მეთოდებს და ამ მეთოდებით ოპერირების მიზანშეწონილობას დასახული მიზნის მისაღწევად.

3. თეორიული ეთნოლოგია I Theoretical Ethnology I

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ეთნოლოგიური მეცნიერების თეორიულ პრობლემებს. სასწავლო კურსში ძირითადი ყურადღება დაეთმობა ეთნოლოგიური მეცნიერების იმ მონაკვეთების შესწავლას, რომლებიც ეხება ეთნოსთა შორის ფუნქციონირების მექანიზმებს, მათი ბუნებრივ და სოციო-კულტურულ გარემოსთან თვითორგანიზაციისა და ადაპტაციის პროცესების ახსნას, აგრეთვე ისტორიულ-კულტურულ კვლევებში ეთნოლოგიური მიდგომის გამოყენების სპეციფიკას.

4. თეორიული ეთნოლოგია II Theoretical Ethnology II

სასწავლო კურსი შეიცავს ძირითადი ეთნოლოგიური კონცეფციების ვრცელ მიმოხილვას, აგრეთვე კონცეფციებს, რომლებიც გამომუშავებულია კულტუროლოგიაში, სოციოლოგიაში, პოლიტოლოგიაში და ა.შ. სასწავლო კურსში ყურადღება ექცევა მხოლოდ ამოსავალ და მთავარ იდეებს, რომლებსაც უშუალო შეხება და ურთიერთობა ეთნიკური ერთობისა და მათი კულტურის შესწავლასთან აქვთ.

5. ქართველი ერის ეთნიკური ისტორია. Ethnic History of Georgians

სასწავლო კურსი შეისწავლის ქართველთა ეთნიკური ერთობის განვითარების თავისებურ გრძელ გზას, რომელსაც, როგორც ბევრ სხვა ეთნოსს, ჰქონდა აღმავლობის, დაცემის, შეფერხების, გადარჩენის პერიოდები. სტუდენტები შეისწავლიან ქართველი ხალხის ეთნიკური განვითარების გზას მისი წარმოქმნის დღიდან დღემდე.

6. საქართველოს ისტორიული ეთნოლოგია Historical Ethnology of Georgia

სასწავლო კურსი შეისწავლის ქართული ეთნოსის მრავალსაუკუნოვანი ყოფისა და კულტურის ძირითად მახასიათებლებს ისტორიული განვითარების დინამიკაში. აანალიზებს ქართველთა შესახებ არსებულ უძველეს, ანტიკური ხანის, შუასაუკუნეებისა და ახალი პერიოდის უცხოურ და ქართულ წყაროებს. ძირითად ეთნოგრაფიულ ფაქტებს განიხილავს ისტორიულ ჭრილში, ავლენს კულტურის ელემენტების მდგრადობას ან

ცვალებადობას. წარმოაჩენს ქართველთა სულიერი, სოციალური და მატერიალური ყოფის თავისებურებებს, ტრადიციებსა და ნოვაციებს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში.

7. საქართველოს ეთნოლოგია. Ethnology of Georgia

სასწავლო კურსის შესწავლის შემდეგ სტუდენტები იცნობენ მატერიალური კულტურის, სამეურნეო ყოფის, სულიერი კულტურისა და სოციალური ურთიერთობების პრობლემებს. საგანი მოიცავს როგორც ხალხის ეთნოგენეზს, ისე ეთნიკურ ისტორიას და ეთნიკური კულტურის რიგ საკითხებს.

8. კავკასიის ხალხთა ეთნოლოგია Ethnology of the Caucasian Peoples

სასწავლო დისციპლინა სტუდენტებს შეასწავლის კავკასიის ხალხის ეთნოლოგიური ისტორიის საკითხებს. სტუდენტები აცნობიერებენ კავკასიის კვლევების მნიშვნელობას ქართული სახელმწიფოსა და პოლიტიკისათვის.

9. რელიგიების ისტორია History of Religions

სასწავლო კურსი სტუდენტებს აცნობს ამ სფეროში დაგროვილ ინფორმაციას და წარმოდგენას უქმნის მსოფლიოში არსებული რწმენა-წარმოდგენების სისტემების ჩასახვა-განვითარების შესახებ. სტუდენტები შეისწავლიან რელიგიას, როგორც კულტურულ ფენომენს (ანთროპოლოგიური თვალსაზრისით), რომელიც კულტურული კონტექსტის გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანის გონების მდგომარეობის ასახვას წარმოადგენს.

10. ქართველი ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა I Georgian Ethnographic Heritage I

სასწავლო კურსი სტუდენტებს აცნობს ქართული ეთნოლოგიური სკოლის თვალსაჩინო მკვლევართა მნიშვნელოვან ნაშრომებს ხალხური კულტურული მემკვიდრეობის ისეთ კარდინალურ პრობლემებზე, როგორებიცაა: სამეურნეო ყოფა, მატერიალური კულტურა, დასახლების ფორმები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, ჩაცმულობა, ხელოსნობა, ოჯახი და საოჯახო ყოფა, ქორწინება, საქორწინო წეს-ჩვეულებები, ნათესაური სისტემა და სხვ.

11. ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა II Georgian Ethnographic Heritage II

სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ქართული ეთნოლოგიური სკოლის თვალსაჩინო მკვლევართა მნიშვნელოვან ნაშრომებს ხალხური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. საგნის მეორე ნაწილში (მემკვიდრეობა II) წარმოდგენილია თემატიკა როგორც ტრადიციული სულიერი კულტურის, ისე სოციალური ურთიერთობის საკითხებზე, ჩვეულებით სამართალზე, საკულტო ძეგლებზე, დღესასწაულებზე, დაკრძალვისა და გლოვის წესებზე, სუფრის ეთნოსოციალურ და რელიგიურ ასპექტებზე. ტანსაცმელზე, ხალხურ მუსიკალურ კულტურაზე (ეთნომუსიკოლოგია) და სხვ.

12. ეთნოგრაფიული პრაქტიკა I Ethnographic Practice I

სასწავლო დისციპლინა ითვალისწინებს, რომ სტუდენტებმა თეორიული ცოდნის აპრობაცია მოახდინონ და გამოიმუშაონ დამოუკიდებელი კვლევის წარმოების უნარები, პირველ ყოვლისა, შეისწავლონ მასალის ემპირიული ფიქსაციის მეთოდები და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებად ჩამოუყალიბდეთ მასალის ფიქსაციის ტექნიკა და

სტრატეგიები; შეძლონ დამოუკიდებლად სავლელ პირობებში ზუსტად ჩამოაყალიბონ საკვლელი პრობლემა.

13. ეთნოლოგიური პრაქტიკა II Ethnographic Practice II

სასწავლო კურსის მიზანია მიაწოდოს სტუდენტს ცოდნა და გამოუმუშავოს პრაქტიკული უნარი ეთნოლოგიურიკვლევების ჩატარებისათვის ისეთ აუცილებელ საფუძვლებზე, როგორც არის შერჩევის მეთოდოლოგია, კითხვარის შედგენა, პილოტაჟური და ძირითადი გამოკვლევა.

14. ევროპის ეთნოლოგია Ethnology of Europe

სასწავლო კურსი დღეს ევროპის კონტინენტზე განსახლებული ხალხების (ეთნოსების) შესწავლას ითვალისწინებს, მაგრამ სტუდენტები გაეცნობიან და შეისწავლიან იმ ამოწვევებზე, გადაშენებულ ხალხებსაც, რომლებიც აქ თავის დროზე მკვიდრობდნენ. სალექციო კურსი ორი ნაწილისაგან შედგება: I. შესავალი ნაწილი ანუ ხალხთა (ეთნოსთა) კლასიფიკაციის ძირითადი საფუძვლები; II. ევროპის ხალხების ეთნოლოგია.

15. ამერიკის ხალხთა ეთნოლოგია Ethnology of American Peoples

სასწავლო დისციპლინის ფარგლებში გათვალისწინებულია დღეს ამერიკის კონტინენტზე განსახლებული ხალხების (ეთნოსების) შესწავლა, მაგრამ სტუდენტები გაეცნობიან და შეისწავლიან იმ გამქრალ ხალხებსაც, რომლებიც აქ თავის დროზე მკვიდრობდნენ.

16. ეთნიკური უმცირესობები საქართველოში Ethnic Minorities in Georgia

სასწავლო კურსის სტუდენტებს აცნობს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ეთნიკურ ისტორიას, მათი საქართველოს ტერიტორიაზე განსახლების ისტორიას, მათი ყოფისა და კულტურის მახასიათებლებს და ქართულ ეთნოკულტურასთან მიმართების თავისებურებებს.

17. აღმოსავლეთის ხალხთა ეთნოგრაფია I Ethnology of Eastern Peoples I

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს გაცნოს მახლობელი აღმოსავლეთის სამყარო, ირანის, თურქეთის, არაბეთის ქვეყნების და ხალხების მაგალითზე, რასაც ხელს შეუწყობს მათ ცოდნის გაღრმავებას, როგორც ზოგადი ეთნოგრაფიის ასევე აღმოსავლური ხალხური კულტურის ისტორიის სფეროში.

18. აღმოსავლეთის ხალხთა ეთნოლოგია II Ethnology of Eastern Peoples II

სასწავლო კურსი წარმოადგენს აღმოსავლეთის ხალხთა ეთნოლოგიის მე-2 ნაწილს; იგი მოიცავს შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების: იაპონიის, ჩინეთის, ინდოეთისა და მონღოლეთის ხალხთა ეთნოლოგიის სწავლებას.

19. ხალხთა მიგრაციები (ისტორია და თანამედროვეობა). Migrations (History and Modernity)

სასწავლო კურსი სტუდენტებს გაუფართოვებს თვალსაწიერს, ისინი ახალი კუთხით გაიაზრებენ ძველ და თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე რთულ ისტორიულ, კულტურულ, ეთნოტრანსფორმაციულ პროცესებს. საგანგებო ყურადღება გამახვილდება განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოსახლეობის შიდა მიგრაციებზე ქართული ეთნოსის, ქართველი ერის წარმოქმნის საქმეში.

20. მსოფლიოს ხალხთა ეთნიკური ისტორია. (Ethnic History of the Peoples of the World)

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტები გაიღრმავებენ ეთნოლოგიური მეცნიერების საფუძვლების, ეთნიკური ისტორიის, ეთნოსების თანამედროვე ისტორიის ცოდნას. მოცემულ კურსში უპირატესობა ენიჭება ეთნიკური ტერიტორიისა და ეთნიკური საზღვრების, თითოეული ეთნოსის ეთნოგენეზისა და ეთნიკური განვითარების რთულ გზას შესწავლას.

21. მსოფლიოს ხალხთა სახელების ეთნოლოგია და ისტორია. History and Ethnology of Names

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან საკუთარი სახელების სისტემების ტიპური ანთროპონიმიულ მოდელებს. სტუდენტები გაეცნობიან საკუთარ სახელთა სისტემების ათამდე ზონას, რომლებსაც მეცნიერები გამოყოფენ; რამდენიმე ტიპური ანთროპონიმიული მოდელს, რომელთაგან ერთ-ერთ ასეთ პირობით ზონას “სამხრეთ-დასავლურს” უწოდებენ, რომელშიც რომანიზებული ევროპისა და ლათინური ამერიკის ანთროპონიმებს აერთიანებენ. ყურადღება გამახვილებულია მსოფლიოს ხალხთა საკუთარ სახელთა სისტემებში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მაკმადიან ხალხთა ანთროპონიმებზე.

22. რელიგია თანამედროვე მსოფლიოში Religion in the modern world

სასწავლო კურსში განხილულია რელიგიის, როგორც კულტურული ფენომენის, მნიშვნელობა თანამედროვეობაში, მისი ფუნქციები, იდენტობასთან კავშირი და მაინტეგრირებელი და დეზინტეგრაციული ვექტორები. პროგრამა გაყოფილია სამ ნაწილად. პირველ ბლოკში შედის რელიგიის ანთროპოლოგიური კვლევის თეორიული საკითხები, მეორე ბლოკში განხილული იქნება თანამედროვე მსოფლიოში მოქმედი რელიგიური მიმდინარეობები და ჯგუფები, ხოლო მესამე ბლოკი დაეთმობა თანამედროვე საქართველოში რელიგიური სიტუაციის განხილვას.

23. ქორწინება და ოჯახი შუა საუკუნეების ევროპასა და საქართველოში. Marriage and Family in Europe and Georgia in the middle ages

სასწავლო დისცილინა მოიცავს შემდეგ საკითხებს: როგორი იყო ოჯახის აღქმა შუა საუკუნეებში, ოჯახის ფუნქციები, ნათესაური სისტემის ტიპები, ოჯახის სიდიდე და სტრუქტურა, ოჯახის ეკონომიკური საფუძვლები, ქორწინება, შიდა ოჯახური ურთიერთობები, დამოკიდებულება მოხუცებისადმი.

24. ქართული მითოლოგია Georgian Mythology

სასწავლო კურსის სტუდენტებს აცნობს ქართული მითოლოგიის ძირითადი თემებსა და სახეებს, უნივერსალური მითოლოგემებისა და მოტივების ლოკალურ ვარიანტებს, რომელთაც დაიმკვიდრეს ადგილი ქართულ კულტურაში.

25. ხალხური სიმბოლიკა Folk Symbolic

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები სწავლობენ ძირითადი ცნებების სამეცნიერო კონტექსტში გამოყენებას (სიმბოლო, სიმბოლიკა, მითოსი, მითოლოგია, მითოსური ცნობიერება და ა.შ.); იღებენ თეორიულ ცოდნას მატერიალური კულტურის ძეგლებსა და ფოლკლორულ ტექსტებში ასახული სიმბოლოების კოდიფიცირებულ ნიშანთა სისტემის შესახებ. უმუშავდებათ მონაცემთა შეკრებისა და მათი ანალიზის ჩვევები.

26. ფოლკლორისტიკის საფუძვლები Introduction to Folkloristic

სასწავლო კურსი მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორულ მასალაზე დაყრდნობით განზოგადებულად წარმოუდგინოს სტუდენტებს ზეპირსიტყვიერებისა და, საზოგადოდ, მხატვრული შემოქმედების საფუძვლებს, რაც დაეხმარება მათ, გააცნობიერონ ადამიანის, როგორც მოაზროვნის მიერ სამყაროს აღქმისა და ამ წარმოდგენების ვერბალური გამოხატვის შესაძლებლობანი, მისი მხატვრული აზროვნების დიაპაზონი. ასევე, ადამიანის, როგორც საზოგადოების წევრის, ფორმირების რთული პროცესი.

27. კავკასიური მითოლოგია Caucasian Mythology

სასწავლო დისციპლინა სტუდენტებს აცნობს კავკასიაში მოსახლე ტომთა ერთიანი მსოფლმხედველობის საფუძველზე ჩამოყალიბებულ მითოლოგიას (რომელიც შეიძლება მივაკუთვნოთ იბერიულ-კავკასიურ ერთობას), იმ ძირითად თემებსა და სახეებს, რომლებიც დაკავშირებულია კავკასიელთა ისტორიასთან, ყოფასა და კულტურასთან.

28. პრაქტიკუმი სოციოლინგვისტიკაში Practicum in Sociolinguistics

კურსი ეთნოლოგიის მიმართულების სტუდენტებს აცნობს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აქტუალურ სფეროს, სოციოლინგვისტიკას, რომელიც, თავის მხრივ, ინტერდისციპლინარული დარგია და შეისწავლის ენისა და საზოგადოების განვითარების როგორც სოციოლოგიურ, ისე ლინგვისტურ ასპექტებს